საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9295/01
01/09/2021

9295-01-2-202109011349

შპს „გლობალ კომპანის“ დირექტორს,
ბატონ ხვიჩა ჯაფარიძეს (პ/ნ 47001009518)
მის: ახალციხე, თამარაშვილის ქ. №2

ბატონო ხვიჩა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 19 აგვისტოს N14841 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ახალციხეში, აბასთუმნის გზატკეცილზე ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციას.

როგორც სამინისტროს 2021 წლის 13 აგვისტოს N8612/01 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში მითითებული იყო, რომ საწარმოს ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ ფიქსირდება არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 100 მეტრში მდებარეობს ახალციხის ციხე კომპლექსი. შესაბამისად აღნიშნული საჭიროებდა დაზუსტებას. მიმდინარე წლის 19 აგვისტოს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 100 მეტრში მდებარეობს ახალციხის ციხე კომპლექსი, თუმცა არაა შეფასებული ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციით გამოწვეული ზემოქმედების საკითხი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე.

გარდა ამისა, როგორც სამინისტროს N8612/01 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში დაცული და გათვალისწინებული უნდა იყოს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები და მოცემული უნდა იყოს წყალდაცვითი ზოლის დაცვის შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიას უკანა მხრიდან, დაახლოებით 14 მეტრში ესაზღვრება მდ. ფოცხოვი (ფოცხოვისწყალი), ხოლო „წყალდაცვითი ზოლის შესახებ” ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების დროს გათვალისწინებულია და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. გაცნობებთ, რომ „წყალდაცვითი ზოლის შესახებ” ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მდ.

ფოცხოვისწყალის (ფოცხოვი) წყალდაცვითი ზოლის სიგანე შეადგენს 30 მეტრს კალაპოტის კიდიდან.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე